

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პირველკურსელთა ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევის ანგარიში 2021-2022 სასწავლო წელი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ისევე როგორც ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეში, თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების ჩართულობა.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კვლევებისათვის საჭირო კითხვარები. დანერგილია მათი დამუშავებისა და შედეგების განხილვის მეთოდოლოგია; რადგან კითხვარი რესპოდენტის ცხოვრებაში შეჭრაა, ამავე დროს რესპოდენტი ითვლება ინფორმაციის აქტიურ მომწოდებლად, ამიტომ დაცულია რესპოდენტის/რესპოდენტების ანონიმურობა და ნებაყოფლობითობა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც შიდა, ასევე გარე, უზრუნველყოფს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას;

უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის, ზეგავლენის მასშტაბისა და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინიზებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული შესრულებული აქტივობების ანგარიშების მეშვეობით.

შემუშავებული გეგმის ფარგლებში მიღებული კვლევის შედეგები ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ საქმიანობის გასაუმჯობესებელ და ძლიერ მხარეებს, განსაზღვრავენ გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და იმ სტრატეგიას, რომელიც ინსტიტუციის განვითარებას მიიყვანს დასახულ ნიშნულამდე. კვლევის შედეგები და მათზე რეაგირების გზები აისახება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს. მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები, კვლავ ფასდება შემდგომ დაგეგმილი და განხილული მეთოდების შესაბამისად და ახლიდან იწყება „PDCA“ ციკლი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

კითხვარების დამუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს წინასწარ შედგენილ კითხვებზე მიღებული პასუხების სტატისტიკურ დამუშავებას, შედეგების გაანალიზებას, საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტებას (შეხვედრები რესპოდენტთან, ჩაღრმავებული ინტერვიუები/გამოკითხვები), დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებას, სტუდენტების, შესაბამისი სამსახურის ან/და პერსონალის ინფორმირებულობას და უკუკავშირისთვის რეაგირებას.

კვლევის მიზანია:

1. უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულების კვლევა;

2. სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. ამ მიზნით სისტემურად ახლდება სტრუქტურირებული და ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარების მატრიცა, ნაწილი ღია და დახურულ კითხვების სახითაა შემუშავებული. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პირველკურსელი სტუდენტები. პირველკურსელთა კვლევა საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილებასთან დაკავშირებით და ბაკალავრების კვლევა პროგრამული და საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილებასთან დაკავშირებით.

კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა მოხდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე – სტუდენტთა ინსტიტუციური და რესურსებით კმაყოფილების განსაზღვრისათვის საჭირო ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. გამოკითხვამ მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა.

კვლევა ჩატარდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პირველკურსელი ბაკალავრების მონაწილეობით Google-Draive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობას.

კვლევა ითვალისწინებს:

- კვლევის მიზნის, ამოცანის იდენტიფიცირებას. მიგნებების გამოკვეთას, დასკვნების გამოტანასა და რეკომენდაციების შემუშავებას;
- ინსტიტუციური ხასიოთის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან.
- ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას;
- ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას;
- შესაბამისი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევის შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.
- კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში.

სტუდენტთა მახასიათებლები:


სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 124 სტუდენტმა. კვლევაში მონაწილე 124 სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა, ანუ 100% ფაკულტეტების მიხედვით ასე გადანაწილდა:

53,2% - მონაწილეობდა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან;

5,7% - იურიდიული ფაკულტეტიდან;

აირჩიეთ ფაკულტეტი

124 responses



18,5% - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტიდან;

22,6% - ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან.

ზოგადი მიგნებები:

ზოგადი მიგნებები:

1 კითხვაზე - „რომელი საშუალებებით მოიპოვეთ ინფორმაცია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ?

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის შესახებ სტუდენტებმა ინფორმაცია მოიპოვეს:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით, აღნიშნავს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 45,2%;
- ინტერნეტის საშუალებით, აღნიშნავს -სტუდენტთა საერთო რაოდენობის 11,3%;
- ახლობლების საშუალებით, აღნიშნავს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 41,1%
- სხვა საშუალებებით, აღნიშნავს -სტუდენტი საერთო რაოდენობის 2,4%.
- აღნიშნული გამოკითხვების დროს ჭარბობს პასუხი: ვებგვერდის, ინტერნეტის, „ახლობლების საშუალებით“, ხშირად სტუდენტები წერენ, რომ მათმა ახლობლებებმა დაამთავრეს სჯსუ და მათაც ურჩიეს უნივერსიტეტში ჩაბარება. უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან და ინტერნეტიდანაც ბევრმა სტუდენტმა მიიღო ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ, ხოლო „სხვა“ საშუალებებით - რამდენიმე რესპოდენტი წერს, რომ არიან ადგილობრივი მცხოვრებლები და კარგად იციან უნივერსიტეტის არსებობის შესახებ.
- აღსანიშნავია, რომ წინამორბედი გამოკითხვების შემდეგაც ანალოგიური სურათი გამოიკვეთა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ან/და ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილია საუნივერსიტეტო გარემოთი, უნივერსიტეტში

მიუთითეთ სპეციალობა რომელზეც სწავლობთ

124 responses

ინგლისური ფილოლოგია

ეკონომიკა

ინფორმაციული ტექნოლოგიები

დაწყებითი განათლება

ეკოლოგია

დაწყებითი განათლების სპეციალობა


აგრონომია

ეკონომიკა

დაწყებითი განათლება

1. რომელი საშუალებებით მოიპოვეთ ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ?

124 responses



მიღებული განათლებით, კურსდამთავრებულთა დასაქმებით და თავის ახლობლებსაც სწავლის გაგრძელებას ურჩევენ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2 კითხვაზე რატომ აირჩიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

(მონიშნეთ თქვენთვის სასურველი რამდენიმე პასუხი ან დააფიქსირეთ თქვენი სხვა მოსაზრება)

- პრესტიჟულია, უპასუხა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 8%-მა;
- ხელმისაწვდომია ტერიტორიულად, უპასუხა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 57,3%-მა;
- გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით, უპასუხა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 11,3%-მა;
- აქვს სპეციალობების ფართო არჩევანი, უპასუხა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 8,9%-მა;
- აქვს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პერსპექტიულია, უპასუხა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 89%-მა;
- აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო, უპასუხა სტუდენტთა გარკვეულმა რაოდენობამ.

რამდენიმე სტუდენტმა დააფიქსირა საკუთარი მოსაზრებებიც, რომ უნივერსიტეტი გამოირჩევა გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვნებით, აგრეთვე აქვს დაფინანსებული სპეციალობები.


აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით ჭარბობს პასუხები: ხელმისაწვდომია ტერიტორიულად, პრესტიჟულია, გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით, აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო. ამ კითხვის პასუხებში ჩანს, რომ სტუდენტები იცნობენ და აფასებენ უნივერსიტეტს, რაც ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისია. ფაქტიურად უნივერსიტეტი ცდილობს დაიმკვიდროს ის ნიშა საზოგადოებაში, რაც სტუდენტებმა რეალურად შენიშნეს და გამოკითხვისას დააფიქსირეს. ეს კი მხოლოდ მისასალმებელია.

4. კითხვაზე ფაკულტეტის დეკანმა და/ან პროგრამის ხელმძღვანელმა გაგაცნეს თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზანი და სწავლის შედეგები?

5. კითხვაზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა გაგაცნოთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები: აკადემიური კალენდარი, სასწავლო

2. რატომ აირჩიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი?
(მონიშნეთ თქვენთვის სასურველი რამდენიმე პასუხი ან დააფიქსირეთ თქვენი სხვა მოსაზრება)

124 responses



3. როგორ აფასებთ უნივერსიტეტში შექმნილ ატმოსფეროს (პირველი შთაბეჭდილება)? რა მოგწონთ? რას შეცვლიდით?

124 responses

კარგია

ძალიან მომწონს

თავიბითაო

კურსი, სილაბუსი, კრედიტი, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები?


მე-4 კითხვაზე ფაკულტეტის დეკანმა და/ან პროგრამის ხელმძღვანელმა გაგაცნეს თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზანი და სწავლის შედეგები?

კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა პასუხები გადანაწილდა:

89,5% პასუხობს, რომ ფაკულტეტის დეკანმა და/ან საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა გააცნეს პროგრამა, მისი მიზნები და სწავლის შედეგები;


4. ფაკულტეტის დეკანმა და/ან პროგრამის ხელმძღვანელმა გაგაცნეს თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზანი და სწავლის შედეგები?

124 responses



5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა გაგაცნოთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები: აკადემიური კალენდარი, სასწავლო კურსი, სილაბუსი, კრედიტი, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები?

124 responses



7%-მდე რესპოდენტი პასუხობს, რომ ნაწილობრივ გააცნეს;

3,5%-მდე რესპოდენტი პასუხობს, რომ არ გაუცნიათ.

აღნიშნულ კითხვაზე გამოკითხული 124 სტუდენტიდან 89,5 სტუდენტი, ანუ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 72% პასუხობს, რომ ფაკულტეტის დეკანმა და/ან პროგრამის ხელმძღვანელმა

გააცნეს თქვენს მათ მიერ არჩეული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზანი და სწავლის შედეგები, ხოლო ნაწილობრივ გაგვაცნო - პასუხობს 7%-მდე სტუდენტი, საინტერესოა უმრავლესობამ რა პირობებში მიიღო სრულყოფილი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სტუდენტთა ხოლო 7%-მა იგივე მასალა ნაწილობრივ? მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სერვისი, სხვა ღონისძიებებთან ერთად უნივერსიტეტის მხრიდან ყოველწლიურად, წინასწარ არის დაგეგმილი და ამ საკითხს ინსტიტუციური მნიშვნელობა აქვს, რადგან ინფორმირებული სტუდენტებისთვის უფრო ადვილია სასწავლო პროცესში ჩართვა, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მიზნებსა და შედეგებზე ორიენტირება.

5. კითხვაზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა გაგაცნოთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები: აკადემიური კალენდარი, სასწავლო კურსი, სილაბუსი, კრედიტი, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები?

კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა პასუხები გადანაწილდა:

90,3% პასუხობს, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა გააცნოთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები: აკადემიური კალენდარი, სასწავლო კურსი, სილაბუსი, კრედიტი, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები;

რესპოდენტთა 7% პასუხობს, რომ ნაწილობრივ გააცნეს;

2,7%-მდე რესპოდენტი პასუხობს, რომ არ გაუცნიათ.

ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი. საინტერესოა, სტუდენტების მცირე ნაწილმა რატომ ჩათვალა, რომ ეს იყო ნაწილობრივი ინფორმაცია. შეხვედრების დროს მათ გააცნეს, აგრეთვე სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები, რომლის ჩამონათვალში შედის სტუდენტის კონსულტირება. სტუდენტები ამ სერვისის შესახებ ინფორმირებულები არიან და თუ რომელიმე საკითხს თვლიან ნაწილობრივ გაცნობილად, შეუძლიათ ინფორმაციის დაზუსტება თითოეული სტრუქტურული ერთეულის კომპეტენტურ თანამშრომელთან.

6. როგორ აფასებთ უნივერსიტეტში შექმნილ ატმოსფეროს (პირველი შთაბეჭდილება)?

აღნიშნულ კითხვაზე მრავალგვარი პასუხი დაფიქსირდა, თითოეული მათგანი ყურადსაღები და მისასალმებელია. რეალური სურათის შესაქმნელად, სტუდენტების მოსაზრებების გასაცნობად ციტატების სახით მოხდა მათი ამოწერა. პირველ ნაწილში გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს მოეწონათ სასწავლო გარემო, გულთბილი შეხვედრები, განსაკუთრებით - უნივერსიტეტის რექტორის აკადემიურობა და უშუალობა, მოწესრიგებული და კომპეტენტური აკადემიური/მოწვეული პერსონალი, ბიბლიოთეკა, თვითმმართველობა და სხვ.

რა მოგეწონათ?

- გარემო, სადაც თბილად გვექცევიან;
- ჩვენი სწავლით და ლექციები ძალიან შთამბეჭდავია, რადგან ყველაფერი აქტიურად და ტარდება და მოტივს მძენს;
- იმაზე თბილი გარემო დამხვდა ვიდრე მოველოდი, ძალიან მეგობრულები არიან უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი;
- სწავლების ხარისხი; მომეწონა ყველაფერი: გარემო, სწავლება;
- მომწონს ლექტორებთან ურთიერთობა;
- ატმოსფერო; მეგობრული და თბილი გარემო;
- რექტორისა და ლექტორების ურთიერთობა ჩვენთან;
- ჩემს მოლოდინს ბევრად გადააჭარბა;
- პირველ რიგში მომეწონა რექტორი, სასწაული ადამიანია, უშუალოა ძალიან;
- საგნები, ცხრილები, აქტივობები;

- სწავლების ხარისხი; მოწესრიგებულობა;
- უნივერსიტეტის თვითმმართველობაში ჩართვა;
- ლექტორები, ბიბლიოთეკა;
- სწავლების მაღალი ხარისხი და სპეციალობების ფართო არჩევანი;
- ძალიან მომეწონა ფსიქოლოგიის ლექცია, მით უმეტეს ფსიქოლოგიის ლექტორი;
- რამდენიმე ლექტორის სწავლების სტრატეგია;
- მოლოდინი მქონდა თბილი გარემოსი, რამაც ნამდვილად გაამართლა.
- რამდენიმე ლექტორი, რომლის გამოც უნივერსიტეტში სიარულის მიზეზი მიმდგომარეობდა;
- სხვა მოლოდინები მქონდა მაგრამ სხვა დამხვდა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა როგორც უნივერსიტეტთან;
- ძალიან მომწონს ის მეთოდები, რომლითაც ლექტორები ხელმძღვანელობენ და გვასწავლიან.

რას შეცვლიდით?

- კითხვაზე - რას შეცვლიდით? აქ არაერთგვაროვანი პასუხები გამოიკვეთა, სტუდენტებს აინტერესებთ სხვადასხვა სახის აქტივობები, მათ შორის სპორტული და გასართობი.
- არ მაქვს შენიშვნა;
- არ მაქვს;
- მეგონა არ იყო ისეთი წესრიგი და მოთხოვნა სწავლაზე რამაც სასიამოვნოდ გამოაცა, არაფერს შეცვლიდი;
- მოლოდინი დიდი და უკეთესი მაქვს, მთავარია აუდიტორიაში დავბრუნდეთ;
- ძალიან მომწონს ონლაინ სწავლება, რადგან მამღვს პარალელურად სამსახურში მუშაობის საშუალებას.

6. კითხვაზე გაეცანით თუ არა სტუდენტთა ეთიკის კოდექსს?

აღნიშნულ კითხვაზე გამოკითხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 75% პასუხობს, რომ იცნობს ეთიკის კოდექსს, 12,1 - ნაწილობრივ იცნობს, ხოლო 12,9% არ იცნობს. ეთიკის კოდექსი სტუდენტებს გააცნო იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა მალხაზ ლომსაძემ, რომელიც მეტი ინფორმირებულობის, დისკუსია-დებატებში აქტიურად ჩასართავად შეხვედრებს აწარმოებდა ცალკეული ფაკულტეტების სტუდენტებთან. აგრეთვე სტუდენტებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც აღნიშნულ საკითხებს მოიცავს. ეთიკის კოდექსის გაცნობასთან დაკავშირებულ კითხვაზე ველოდებით 100%-ით დადებით პასუხს.

7. გაეცანით თუ არა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას?

აღნიშნულ კითხვაზე გამოკითხული სტუდენტთა საერთო რაოდენობის 67,7% პასუხობს, რომ იცნობს უნივერსიტეტის მისიას, 20,2% აღნიშნავს, რომ იცნობს ნაწილობრივ, ხოლო 12,1% არ იცნობს. ამ ნაწილშიც ველოდებოდა 100%-მდე დადებით პასუხს, რადგან უნივერსიტეტის რექტორი ყოველი თვის დასასრულს (პარასკევს დღეს, რომელსაც მკაცრად იცავს), რექტორის საათის ფარგლებში თვითონ ხვდება პირველკურსელ სტუდენტებს და ესაუბრება უნივერსიტეტის მისიაზე, სტრატეგიულ გეგმაზე, საერთაშორისო მობილობაზე და სხვა. აინტერესებს სტუდენტების ხედვა, მოთხოვნები და ზოგადად კმაყოფილება, რასაც ჩვენი ფორმატისგან განსხვავებით ან/და ხარისხის სამსახურისგან მიღებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩარდმავებული ინტერვიუს სახეს აძლევს, შემდეგ კი საჭირობოროტო საკითხებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რექტორის მოადგილეებთან, სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულების ადმინისტრაციების წარმომადგენლებთან შეხვედრებზე განიხილება და ისახება რეგირებისა და უკუკავშირის გზები.

8. გაეცანით თუ არა იმ პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობას:

9. დაასახელეთ წყარო, რომლის საშუალებითაც მიიღეთ ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

აღნიშნულ კითხვაზე: გაეცანით თუ არა იმ პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობას, გამოკითხული 124 სტუდენტიდან, სტუდენტთა საერთო რაოდენობის 66,9% პასუხობს, რომ იცნობს იმ პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას, 16,1% აღნიშნავს, რომ იცნობს ნაწილობრივ, ხოლო 16,9% - არ იცნობს.

ხოლო კითხვაზე, დაასახელეთ წყარო, რომლის საშუალებითაც მიიღეთ ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, გამოკითხული 124 სტუდენტიდან, საერთო რაოდენობის 18,5% ინფორმაციის წყაროდ მიუთითებს ადმინისტრაციულ პერსონალს, 34,7% - უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალურ ვებ-გვერდს, 21% ინფორმაციის წყაროდ მიუთითებს სტუდენტებს, 11,3% - აკადემიურ პერსონალს, 14,5% კი - ფაკულტეტის დეკანატს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მითითებულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია მუდმივად ატვირთულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, აგრეთვე სტუდენტებს ესაუბრება უნივერსიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი გურანდა მოდებამე. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის ნებისმიერ რგოლს შეუძლია ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტების ნებისმიერი აქტივობა და მათთვის ხელშეწყობა არის ყველას საქმიანობა.


10. დაასახელეთ ქვეყანა, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე უფრო მეტად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით აქტიურ თანამშრომლობას 2021 – 2022 სასწავლო წლის განმავლობაში?

სტუდენტების უმრავლესობას საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობ ქვეყნებად მიაჩნია:

- დიდი ბრიტანეთი
- გერმანია
- თურქეთი
- პოლონეთი
- უკრაინა
- კანადა
- დიდი ბრიტანეთი
- ინდოეთი
- ჩეხეთის რესპუბლიკა
- და სხვ.

10. დაასახელეთ ქვეყანა, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე უფრო მეტად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით აქტიურ თანამშრომლობას 2020 – 2021 სასწავლო წლის განმავლობაში?

124 responses



11. პირველი კვირის შთაბეჭდილება და თქვენი მოლოდინი:

124 responses

დადებითი

კარგია

.

არც ისე კარგი იყო დისტანციური რეჟიმის გამო. და არც არის კარგი...

ნამდვილად გაამართლა ჩემი მოლოდინი ყველა მხრივ

ჩემი მოლოდინი იყო რომ იცხოვრებოდა მაღიან კარგად შევგუებოდი და ასეც მოხდა

საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, განსაკუთრებით ლექტორებმა ♥

კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით

მალიან ამაყოფილი ვარ პირველი კვირით .იმოკიურად სადსიდიო იყო.ყვილაფერი

• სხვ. _____

11. პირველი კვირის შთაბეჭდილება და თქვენი მოლოდინი:

აღნიშნულ კითხვაზე მრავალგვარი დადებითი ემოციის გამოხატველი პასუხი დაფიქსირდა, თითოეული მათგანი ყურადსაღები და მისასალმებელია. რეალური სურათის შესაქმნელად, სტუდენტების მოსაზრებების გასაცნობად ციტატების სახით მოხდა მათი ამოწერა.

- დადებითი;
- მომეწონა სიტუაცია და ვფიქრობ ასე გაგრძელდება და უკეთესობისკენ შეიცვლება ბევრი რამ პროფესიონალი ლექტორების და რექტორის;
- ძალიან მომწონს სტუდენტური ცხოვრება;

- კარგი, მოლოდინი რო როგორც გაგავაცნეს უნივერსიტეტის მიზანი ის მიზნები ასრულდება;
- საკმაოდ კარგი გარემო და თბილი და თანამედროვე ლექტორები. ველოდი აუდიტორიას სადაც უფრო კომფორტულად მოვისმენდი ლექციას და
- ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამიტოვა ძალიან მიხაროდა რომ გავგდი სჯუს სტუდენტი და ჩემი მოლოდინი იყო რომ მეყოლებოდა ძალიან;
- მე უფროს სხვანაირად წარმოვიდგენდი ხოლმე უნივერსიტეტში მისვლის დარეებს თუმცა არც ეს იყო ძალიან ცუდი. არველოდი კორონას;
- მიუხედავად იმისა რომ ჩვენ მოგვიწია პანდემიის დროს მისვლა ჩვენი ლექტორები ყველანაირად გვეხმარებოდნენ და მხარს გვიჭერდნენ.

დასკვნები

1. მიმდინარე, 2021-2022 სასწავლო წლის პირველკურსელთა წინამდებარე ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევაში გასულ წლებთან შედარებით ნაკლებმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა; კვლევაში ჩართული სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებლები პროცენტულად საკმაოდ გაზრდილია, თუმცა რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას.
2. კვლევაში მონაწილე სტუდენტთა კონტინგეტის უმრავლესობა საკმაოდ კარგად არის ინფორმირებული უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
3. სტუდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულებიდან ამომწურავი ინფორმაციის მიღებით;
4. სტუდენტები კმაყოფილები არიან აკადემიურ/მოწვეული პერსონალის მიერ შექმნილი აკადემიური გარემოთი;
5. სტუდენტების მცირე ნაწილს სურს კონტაქტურ/სააუდიტორიო სწავლებაზე გადასვლა;
6. სტუდენტები იცნობენ უნივერსიტეტში არსებულ იმ პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობას.
7. კვლევის შედეგების რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ სტუდენტების გარკვეულმა ნაწილმა კვლევაში მონაწილეობა არ მიიღო ან/და თავი შეიკავა.
8. გამოკითხვაში მონაწილეების მცირე რაოდენობისგან გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ საკითხზე ნაკლებად ან/და არ არიან ინფორმირებული.

გასატარებელი ღონისძიება:

1. პირველკურსელთა ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევის შედეგები ეცნობოს თითოეული სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით;
2. სტუდენტებს ავუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ინსტიტუციის გაძლიერებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, მათი კმაყოფილება და კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა.
3. სტუდენტებს, გავაცნოთ კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და შესაბამისად, უკუკავშირისთვის გატარებული ღონისძიებების შედეგები.